DOI.org/10.52340/PUTK.2024.28.26

ანა კალანდაძის პოეზია – ღმერთსმოწყურებულ ადამიანთა მეგზური

ANA KALANDADZE'S POETRY – A GUIDE FOR GOD-SEEKING PEOPLE

მანანა ჭიჭინაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Manana Chichinadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

During the totalitarian regime, in an era marked by the disregard for humanism and faith, the celebration of patternism, and the staffing of poetic artels by „writer fluggers", Ana Kalandadze's poetry emerged as an embodiment of moral ideals, creative individuality, and spiritual freedom.

With her sublime poems, Ana Kalandadze brought the fire of divine love – faith, wisdom, and beauty. The lyrical hero of her poems leads the reader to divine light, to moral perfection. Her poetry played a role in rectifying the turmoil instigated by the Bolsheviks, juxtaposing goodness, love, virtue, and true faith against vileness, wickedness, and ungodliness. The lyrical hero of her poems transcends earthly constraints, eschewing mere earthly glory and honor. Instead, the hero serves as a guide to the invisible depths of the human soul and heart, aspiring to attain the heavenly crown.

საკვანძო სიტყვები: XX საუკუნის ქართული პოეზია, ანა კალანდაძე, საეკლესიო /ქრისტიანული თემატიკა ანა კალანდაძის შემოქმედებაში.
Keywords: 20th-century Georgian poetry, Ana Kalandadze, church/Christian themes in the work of Ana Kalandadze.

შესავალი / ლიტერატურის მიმოხილვა

XX საუკუნის ქართულ პოეზიაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ანა კალანდაძის ლირიკა, რომელიც გამორჩეულია სამყაროს ორიგინალური მხატვრული აღქმით, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, მის პოეზიაში გაცოცხლებული სასულიერო ლირიკის ინტონაციებითა და შთაბეჭდილებებით, მეორე მხრივ, მათში გამოვლენილი „ქალური ინტიმითა და რომანტიკული სინაზით" (ნიკოლეიშვილი 2017: 755). მართალია, ანა კალანდაძის ლექსებმა ქართველი მკითხველი ერთბაშად

აღაფრთოვანა, მაგრამ ამ ლექსებში გამოვლენილი პოეტის თავისუფალი სული პარტიულ დოგმებსა და სტერეოტიპებს შეეჯახა, რამაც აღშფოთებული პროლეტარული კრიტიკის თავდასხმა გამოიწვია. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ანა კალანდაძის პოეზია არაერთგვაროვნად იქნა შეფასებული. იგი ერთი ნაწილისთვის (გ. ქიქოძე, დ. ბენაშვილი, კ. გამსახურდია, ა. გაწერელია, გ. ასათიანი, გ. ნატროშვილი...) ქების საგანი გახდა, მეორისთვის კი (პ. შარია, ვ. მაჭავარიანი და, ზოგადად, პროლეტარი კრიტიკოსები) – კრიტიკისა.

ანა კალანდაძის შემოქმედების მიმართ დიდ ინტერესს ადასტურებს ის მნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომლებიც მიუძღვნეს: გრ. კიკნაძემ, ზ. აბზიანიძემ, გ. ბენაშვილმა, გ. კანკავამ, ჯ. ღვინჯილიამ, თ. ჭილაძემ, გ. ასათიანმა, ქ. სიხარულიძემ, ი. ორჯონიკიძემ, რ. თვარაძემ, მ. ჯალიაშვილმა, მ. ჯოხაძემ, შ. ზოიძემ, ლ. სორდიამ და სხვებმა. მისი ლირიკის შესახებ უწერიათ: მ. მაჭავარიანს, მ. ლებანიძეს, ნ. კილასონიას, გრ. აბაშიძეს, კ. იმედაშვილს, ვ. ჯავახაძეს, ტ. ჭანტურიას, ი. ჭუმბურიძესა და სხვებს. მკვლევრებმა: რ. მიშველაძემ, ტ. კვანჭილაშვილმა და ა. ნიკოლეიშვილმა პოეტის ცხოვრება და შემოქმედება შეიტანეს უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში. ეს არასრული ჩამონათვალიც კი მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის ანა კალანდაძის პოეზიის მნიშვნელობასა და ხარისხზე.

ჩვენი მიზანია ანა კალანდაძის სასულიერო ხასიათის ლირიკის ანალიზით ერთხელ კიდევ წარმოვაჩინოთ მისი, როგორც პიროვნებისა და პოეტის შეუგუებლობა ვიწრო პარტიული ინტერესებისა დოქტრინებისადმი; ვაჩვენოთ, თუ როგორ იქცა ბიბლია და ქართული სასულიერო ლირიკა პოეტის მხატვრული შთაგონების წყაროდ, რომელთა მეშვეობითაც ცდილობდა იგი შემოქმედებითი პროცესის დროს გაქცეოდა იდეოლოგიურ მარწუხებს და მწერლების ერთადერთ შეუვალ შემოქმედებით მეთოდად აღიარებული სოციალისტური რეალიზმის მრუდე თარგით ხელმძღვანელობას.

კრიტიკული მასალის გაცნობა ნათლად და მკაფიოდ წარმოაჩენს პროლეტარული კრიტიკის მძაფრ, უარყოფით დამოკიდებულებას ანა კალანდაძის პოეზიის მიმართ, რამეთუ მასში ხედავს არა სოციალისტური, არამედ ფეოდალური საქართველოს მეხოტბეს, რომელიც სწორად ვერ აღიქვამს საგნებსა და მოვლენებს, არ იცნობს ცხოვრებას, არ ხელმძღვანელობს მოწინავე იდეებით, გატაცებულია დეკადენტური მოტივებით; მის პოეზიას განსაზღვრავს ფორმალიზმი, უიდეობა და მისტიციზმი, რომ მისი ლირიკა სიმთვრალის, ლოთობის აპოლოგიაა და მეტი არაფერი, მაშინ, როცა ანა კალანდაძის სამყაროს ორიგინალური მხატვრული აღქმის მაქებარნი: გ. ქიქოძე, დ. ბენაშვილი, ა. აბაშელი, ა. გაწერელია და სხვები დადებით ეპითეტებს არ იშურებენ ანას პოეზიის მნიშვნელობის წარმოსაჩენად.

მეთოდოლოგია

დასმული საკითხის შესასწავლად გამოვიყენეთ ბიოგრაფიზმის, შედარებითი, ისტორიზმის, კრიტიკულ-ანალიტიკური მეთოდები. ანა კალანდაძის ლირიკაზე მსჯელობისას გაანალიზებულია პოეტის ლექსები, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები, მწერლის შესახებ არსებული კრიტიკული და სხვა სახის ლიტერატურა.

მსჯელობა

„ამაღლებული – მაღალი აზრის ნაყოფია, ხოლო მისი შემქმნელი თავადაც მაღალია და მაღლა მხედი“. ამაღლებულის კატეგორიის ფსევდო-ლონგინეს ეს განმარტება ზუსტად ეხმიანება „ქართული პოეზიის დედოფლად“ (რ. მიშველაძე), „სინაზისა და სიყვარულის საყვირად“ (გ. ასათიანი) სახელდებულ ანა კალანდაძის პოეზიას, რომელსაც „სულისმიერი სიმაღლე“, „უანგარობის იდეალი“ უწოდა გერონტი ქიქოძემ, „ღვთაებრივი ზედაშე“, „მშვენიერი ლოცვები“ – ალექსანდრე აბაშელმა, „ახალი სუნთქვა“ – ნაზი კილასონიამ, აკაკი ბაქრაძემ – „სოციალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ სერიოზული ამბოხება“, ლუარა სორდიამ კი – „კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი მხატვრული ისტორია“.

ლოტმანს აქვს ნათქვამი: „სიახლე მეცნიერებასა და ხელოვნების სფეროში მოულოდნელის განხორციელებაა“ (ლოტმანი 2005: 14). ანას ლექსები სწორედ ასეთ აფეთქებას შეიძლება შევადაროთ. მისმა პოეზიამ საზოგადოებაში დიდი სულიერი გარდატეხა მოახდინა, რამეთუ იგი ადამიანის სულის გაკეთილშობილებას, მისი შეგნების, ზნეობის სრულყოფას ემსახურება. ფაქტია, რომ ანა კალანდაძემ ქართულ მწერლობაში შემოიტანა ახლებური, თამამი ხედვა, რითაც გამოაღვიძა შიშით დათრგუნული ქართული სული და ცნობიერება. მისი ლექსების ერთ-ერთი მთავარი თემაა ზრუნვა ადამიანის სულიერ სამყაროზე. პოეტის აზრით, ადამიანმა უპირატესობა თავის სამშვინველს უნდა მიანიჭოს და, უპირველეს ყოვლისა, სულიერი საუნჯის მოპოვებაზე იყოს ორიენტირებული, რადგან ეს უკანასკნელი ყოველივე მატერიალურზე მაღლა დგას: „ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი, როგორც შროშანი შენი უბრალო, ბრწყინავს ცისკარი აღზევებული და სიხარულთა ჩემთა უფალი ...აჰა, საუნჯე ჩემი ახალი“ („ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი“). მისი ლექსების ლირიკული გმირი, უწინარეს ყოვლისა, ჭეშმარიტების შეცნობისაკენ მიისწრაფვის: „ჭეშმარიტების წმინდა კუნძულზე – საუნჯე თვისი გულს იქ შთენია!“ („ჭეშმარიტების წმინდა კუნძულზე“).

სწორედ ადამიანის სულიერ ასპექტებზე აქცენტირებით მოიხიბლა ქართველი მკითხველი და შეიყვარა იმ ეპოქისთვის უჩვეულო ლექსების ავტორი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ ანა კალანდაძის პირველმა ლექსებმა საზოგადოება მოაჯადოვა და დადებითი ეპითეტებით შეამკო, აღმოჩნდნენ უკმაყოფილო კრიტიკოსებიც, რომლებმაც პოეტი გააკრიტიკეს, მისი ლექსები ირონიულად „აღგზნებულ ჰიმნებად“ მოიხსენიეს, ხოლო თავად ავტორი „ჰიმნოგრაფად“, რომელსაც არასწორი გზა ჰქონდა არჩეული და თავისი თანადროული ეპოქის ასახვას გაურბოდა (კალანდაძე 1995: 105). ეს უსამართლო კრიტიკა გახდა მიზეზი პოეტის სრული დუმილისა ორი წლის განმავლობაში: „შენი ოთახი ჰგავს ბიბლიურ ნოეს კიდობანს და მას ყორანნი თავს ევლებიან... მე შხამი მასვეს...“ („ვჭვრეტ სიყვარულით“) – წერს იგი.

1994 წელს ანა კალანდაძის ნათქვამი სიტყვები: „ცოდვა და მადლი ისე ირევა, სიტყვა გაგვიქრა იმედიანი“, არაჩვეულებრივად შეესატყვისება იმ პერიოდს, როცა პოეტს ლამის წერაზე ააღებინეს ხელი, თუმცა

ანა კალანდაძემ თავის თავში გამონახა ძალები ლექსის თხზვისა და გაფეტიშებულ ათეისტურ მარქსიზმ-ლენინიზმის დოქტრინას თავისი რწმენითა და რელიგიურობით დაუპირისპირდა. მან, ლ. სორდიას სიტყვები რომ მოვიშველიოთ, პოეტურ იდეალად „მაღალი სიბრძნე, მაღალი მადლი... უმაღლესი ცა, ამაღლებული ჟამი, უმაღლესი ძალა, „ცათუმაღლესი ტაძარი“ დაისახა (სორდია 2009: 65).

„რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძნელად თუ ჰპოვებ ჭეშმარიტად დიდბუნებოვანსა და სულიერ სიმაღლეთა წვდომის ნიჭით ცხებულ ნატურებს... მაღლა მხედთა გარდა, მათთან ერთად, ამაღლებულის თითქმის უკვალოდ გაქრობა ჩვენი ბერწი ეპოქის წყევლად და საყოველთაო უბედურებად იქცა“. ფსევდო-ლონგინეს ეს სიტყვები არანაკლები სიზუსტით ასახავს საბჭოთა ეპოქის სინამდვილეს, რომელსაც ვერ ეგუებოდა ანა კალანდაძის თავისუფალი სული, რადგან იმ ეპოქაში გაბატონებული დოგმები და სტერეოტიპები აშკარად მიუღებელი იყო მისთვის, რის გამოც „სულიერ სიმაღლეთა წვდომის ნიჭით ცხებულმა“ პოეტმა სათქმელის გამოსახატავად ბიბლია და სასულიერო ლირიკა აირჩია: „ჩემი გულისთქმა ხშირად ესადაგება ჩემთვის საინტერესო ადგილებს იმ ბრძნული წიგნებიდან, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმიდან. ამიტომაცაა, ალბათ, ბიბლია შთაგონების უშრეტი წყარო ყოველი დროისა და ყოველი ეპოქის ხელოვანისათვის“ (კალანდაძე 1987: 344, 345), – წერს ანა და სწორედ ბიბლიური პერსონაჟების მეშვეობით, „ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი ეპიზოდების პოეტიზირებით“ (ნიკოლეიშვილი 2017: 661-662), ლოცვითა და ფსალმუნებით ღმერთსმოწყურებულ ადამიანთა მეგზურად იქცა, რითაც აშკარად დაუპირისპირდა საუკუნეებით განმტკიცებული ზნეობრივი პრინციპებისა და ტრადიციების ხელაღებით უარყოფის, თავისუფალი აზრის მიმართ შეუწყნარებლობით გამორჩეულ ეპოქას.

მიუხედავად იმისა, რომ ანა კალანდაძე ძალიან მშვიდ, ცხოვრების დინებას მიმყოლ პიროვნებად ახასიათებს საკუთარ თავს, მისი ლექსები საწინააღმდეგოს მეტყველებენ. კერძოდ, ისინი მკაფიოდ წარმოაჩენენ ანას, როგორც ეპოქის დინების წინააღმდეგ კალამმომარჯვებულ, „მარაოთი მოსიარულე, მოხარხარე მეფისტოფელის“ (გ. ტაბიძე) წინაშე ქედმოუხრელ შემოქმედს. იგი ტერენტი გრანელის მგავსად ე. წ. საბჭოთა აღმშენებლობაზე დუმილით, მიწაზე მიჯაჭვულობის ნაცვლად, ზეცისკენ ლტოლვით გამოხატავს თავის პროტესტს საბჭოთა ეპოქის მიერ დამკვიდრებული სინამდვილის მიმართ.

რაც დრო გადიოდა, საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი მიზანსწრაფვა უფრო და უფრო იკვეთებოდა, რომელიც, საბედნიეროდ, არ ემთხვეოდა ქართველი ერის სულიერ მისწრაფებებს და, რა თქმა უნდა, არც ანა კალანდაძის პოეტურ მრწამსს. მას ერთხელ არჩეული გზისთვის არასოდეს უღალატია, იგი თავისი მოღვაწეობით თავიდანვე გაემიჯნა „ფუჭსიტყვაობასა“ და „მწერალ ფლუგერებს“ (ბაქრაძე 1990: 41), არ დამონებია „ამა სოფლის თავადს“, „არ ჩაჯდომია ხელმწიფეს ნავში“ (მ. ლებანიძე).

ანა კალანდაძემ თავის ლექსებში: „ო, მადლსა შენსა“, „მე მიხმობს იგი თვით წმინდა ჭერქვეშ“, „მიხმობს ვარსკვლავების თეთრი ღვთაება“,

„მიახლოვდება ცის ლურჯი სული“, „გულს დამფენია მზეი ცხოველი“, „შენ სიმართლის მეფევ“, „ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი“, „აჰა სადგური შენთა სხივთათვის“, „მივეახლები კვლავ სახლსა წმინდასა” და სხვა, ისეთი ფასეულობები გააიდეალა, როგორებიცაა: რწმენა, ზნეობა, სიყვარული, იმედი, ერთგულება, სიკეთე და მშვენიერება. პოეტმა ბიბლიური თემატიკითა და მათგან აღმოცენებული განწყობილებებით უჩვეულო შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. მისი ლექსების ლირიკული გმირის სულიერი მისწრაფებები და განწყობილებები ზუსტად დაემთხვა ქართველი მკითხველის სულიერ მოთხოვნილებებს, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ზნეობადაკარგულ ეპოქაში უკვე მთელი სიმწვავით წამოიჭრა საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიური პოლიტიკით იგნორირებული ნავრწაყრილი ჭეშმარიტი „ზნეობრივი იდეალის“ ძიების მოთხოვნილება და, შესაბამისად, იმედგაცრუებულ, ბარაბას გზაზე შემდგარ საზოგადოებას სურვილი გაუჩნდა ქრისტეს გზას დასდგომოდა, რამაც, ფაქტობრივად, სულიერებას მოწყურებული ადამიანი და მწერლობა ქრისტიანობისკენ მიაბრუნა დაკარგული ზნეობრივი იდეალის მოსაძებნად. ანამაც თავისი ლექსებით „ციური მადლით დალოცვილ სიტყვას“ მოკლებულები გულის მოსარჩენად და სულის დასაამებლად ზეცისკენ მიახედა („მოხევემ სავსე ასწია თასი“).

როგორც ზემოთ ვთქვით, პოეტმა თავის ლექსებს საზოგადოების გაჯანსაღება, ზნეობისაკენ მიბრუნება დაუსახა, რადგან, მისი აზრით, ზნეობა ის წამალია, საზოგადოების ხსნა რომ შეუძლია. ამიტომ, თუმც „მოკრძალებით, მაგრამ ღირსების გრძნობით კისრულობს იგი „ზნეობრივი ყავარჯნის“ როლს“ (შ. აფრიდონიძე) და შურის, ღვარძლისა და უმადურების წილ ქადაგებს შენდობასა და პატიებას, როგორც უმაღლესი სიკეთის გამოვლინებას: „უმადურობა? არ დაიჯეროთ, ო, ნუ, ნუ იტყვით, ღვთის გულისათვის, ღვარძლს ნუ შეურევთ მადლსა ცისათა, ეჭვით ნუ შერყვნით: კრთოდეს მთიებად, კაცთა შენდობა და პატიება უუმაღლესი ქვეყნად სიკეთე!“ („უმადურობა არ დაიჯეროთ...“).

მიუხედავად იმისა, რომ პოეტი ამბობს: „არა, კაენთა მე არ ვუფრთხები!“ („N-ს“), მას ძირითადად მაინც უხდებოდა არსებული სინამდვილის შეფარვით, ანუ იგავებით, სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით გაცხადება, რადგანაც აშკარად მართალი სიტყვის თქმა გილიოტინის ტოლფასი იყო. სწორედ ამ მიზნით აცოცხლებს ანა კალანდაძე ბიბლიურ სიუჟეტებს, დიდი მამულიშვილების – ნინოს, თამარისა და ქეთევანის სახეებს, რითაც დიდი სულიერი გარდატეხა შეაქვს იმდროინდელ საზოგადოებაში. მისი პოეზია ემიჯნება მედროვეთა, გამოგონილ ბელადთა, ამა ქვეყნის ძლიერთა ხოტბას. არასოდეს უხელმძღვანელებია იმ, ე. წ. „საორიენტაციო თემატიკით“ (შ. ზოიძე), რომელიც მას ავალებდა სოციალისტური საქართველოს აღმშენებლობაში ჩართულ მშრომელებზე: „მევენახეებზე, მეჩიეებზე, მეტალურგებზე ეწერა, თუმცა, როგორც ი. ჭუმბურიძე წერს, პოეტი სწორედ მათთვის წერდა (ჭუმბურიძე 2014: 54) და იერიქონის საყვირივით აფრთხილებდა, გამოფხიზლებულიყვნენ: „იფხიზლე სულო, გულო იფხიზლე, იერიქონის გამცნებს საყვირი“ („იერიქონის საყვირი“).

სავსებით სწორადაა ხაზგასმული ა. ნიკოლეიშვილის მიერ ანა კალანდაძის პოეზიაში საეკლესიო თემატიკით პოეტის ამგვარი დაინტერესების მიზანი. კრიტიკოსის აზრით, ავტორმა აღნიშნული თემატიკა „პიროვნების მაღალზნეობრივი სულიერი სამყაროს გამოხატვის ორიგინალურ და ღრმად ეფექტურ ფორმად დაამკვდრა...“ ის ბიბლიურ ეპიზოდებს სძენს „ღრმააზროვან სიმბოლურ დატვირთვას და ეს ყოველივე სიკეთისა და ბოროტების მძაფრი ურთიერთჭიდილის, საერთოდ, ადამიანური ცხოვრების ფილოსოფიური განსჯის თავისებურ პოეტურ გამოვლინებად აღიქმება“ (ნიკოლეიშვილი 2017: 764).

ანა კალანდაძის პოეზიაში ნათლად და მკაფიოდ ჩანს მისი ლექსების ლირიკული გმირი, რომელიც თავისი სიწმინდით, ჭეშმარიტი რწმენით, გულწრფელობით, სამშობლოს მიმართ დიდი სიყვარულითა და თავგანწირვით გამორჩეული ადამიანია, ის გამუდმებით სიმაღლისკენ, ზეცისკენ ისწრაფვის: „გვეამაყება, რომ ჩვენს მაღალ სულს ცხოვრების ჭუჭყი ვერ მოერევა... ცას სუფთა თვალით უნდა ვუმზიროთ და შორით ვჭვრეტდეთ ქართ მიმობერვას!“ („გვეამაყება“) და მართალ სიტყვას დანატრებულ ადამიანებს წყურვილს უკლავს, რითაც მისი პოეზია რადიკალურად ემიჯნება ყალბი ორიენტირებით დაპროგრამებულ სამოქალაქო ლირიკას, ზნეობის, რწმენისა და სიყვარულის ქადაგებით – ღმერთისუარმყოფელ ეპოქას. რ. მიშველაძემაც ამის გამო უწოდა ანა კალანდაძეს „სიყვარულისა და სათნოების მოციქული“ (მიშველაძე 1994: 42).

„ჩემს ლექსებში სულიწმინდის მადლია განფენილი, სტრიქონებში ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატებია ჩაწნული, მისტიური ხედვითაა გაცნობიერებული ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის წარსული და მომავალი, ღვთიური სულის განკაცებისა და ადამიანის უკვდავი სულის განღმრთობის საფეხურები...“ ტერენტი გრანელის ეს სიტყვები ორგანულია ანა კალანდაძის პოეზიისთვისაც, რის გამოც აკრიტიკებდნენ მას პარტიული დირექტივებით მართული კრიტიკოსები, მაგრამ თავისი დიდი რწმენის წყალობით პოლემიკაში მედროვე კრიტიკოსებს არ აჰყოლია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გარეგნულად ოლიმპიური სიმშვიდის მიუხედავად, მასზე მაინც ახდენდა გავლენას უმართებულო კრიტიკული შენიშვნები, რის გამოც ძირითადად ჩუმად, უთქმელად იტანდა ამ უსამართლობას და ლექსებით ეპასუხებოდა ოპონენტებს. პასუხი ზოგჯერ ქარაგმული იყო: „...ქარი ჩამბერავს, ავმღერდები, მე ხომ სტვირი ვარ? ქარში გაზრდილი, უგუნურთა მოჭრილი მერე? ხმით საამურით, მპყრობი გულთა ვუმღერი ველებს... ატირებული მფლობელი ვარ შენი გულისად, ...იალარებით მობერვილ ვარ სიყვარულისად, ...მხოლოდ შენს გულში მიპოვნია ვანი სულისად, ...შთამბერე ქარო, ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა!“ („რა ვარ? სტვირი ვარ!“); ზოგჯერაც დაჩივლება: „უზენაესო, შენია ნება, მაგრამ რაისთვის ესე კირთება? რამ მოგაფიქრა წისქვილის ქვების ვარდის ტოტებზე ჩამოკიდება?!“ („კირთება“); ზოგჯერ კი საკმაოდ თამამი განაცხადი: „უწმინდეს წიგნში წერია ასე (სად არც რა წახდა და არც რა გაცვდა!), ნასუფრალითო ძღებიან ძაღლნი, როგორ იკადრონ იგივე კაცთა?“ („უწმინდეს წიგნში წერია ასე“).

უზენაესის სამართლიანობას მინდობილი პოეტი უფალს შეჰღაღადებს სამართლის აღდგენას თავის ქვეყანაში: „კვლავ სასოებით მივენდო შენთა,

– მწედ მესახვიან ძალნი ცათანი... ქმენ სამართალი, რომელსაც ხედავ, ო, შენეული ქმენ სამართალი!“ („კვლავ სასოებით მივენდო შენთა“), რათა რწმენა, სიყვარული და იმედი ზეიმობდეს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში. „ცათა მაღალთა მადლი, შუქმოწკრიალე სიმით გარდამოხდება მიწად, გარდამოაფენს იმედს. ითინათინებს იგი შურთა ფარულთა მიღმა, რომ ზეცისა და მიწის კვლავ სიყვარული იხმოს“ („ცათა მაღალთა მადლი“), – ამბობს გულმხურვალე ვედრების შემდეგ უფლის წყალობაში დარწმუნებული პოეტი და ქადაგივით დაცემული „გაუმაძღარი ურჩხულის“ დამარცხებასა და მის წმინდა ტაძარში დავანებას სთხოვს უზენაესს: „ისევ განკვეთე შენ ურჩხული გაუმაძღარი და დამიფარე, ვით წალკოტში ყვავილს იფარავ... გააღე ჩემთვის, ო, კარები შენი ტაძრისა, კვლავ სასოებით შემოვიდე, ხელუწიფარო!“ („წყალობა ცათა მარალთა“).

დასკვნები

როგორც ვხედავთ, ანა კალანდაძე ქრისტიანული მსოფლგანცდის პოეტია, იგი თავის ლექსებს ერთ-ერთ მიზნად ათეისტური ეპოქის რწმენადაკარგულ ადამიანთა გამოფხიზლებას, კვლავ ღმერთის წიაღში დაბრუნებას უსახავს; საზოგადოებას ზნეობრივ გაჯანსაღებას, რწმენას, სიყვარულსა და სასოებას უქადაგებს; უფალს ბნელთან, წყვდიადთან, ბოროტებასთან გამკლავების ძალას სთხოვს და სინათლის გამარჯვებას შეჰღაღადებს: „...და მტერთა მძლეველი მახვილი ბოროტი გულისკენ მიმართე... ო, ღმერთო, ო, ღმერთო, საბაოთ, სინათლე, სინათლე, სინათლე!“ („ვარ მარად ვარსკვლავთა მჭვრეტელი“), რათა „ნათელი წარუვალი“ იქცეს „მრუმე ღამეში ჩაფლული სულის კვლავ აღდგომად და აღორძინებად!“ („ინება ცამან“).

მართლაც, ანა კალანდაძის პოეზიაში „უხილავი” ამარცხებს წყვდიადს და მარადიული მზის ნათელი აბრწყინებს ავტორსაც და ყველა ღმერთსმოწყურებულ ადამიანს: „წამოდგა ჩემს წინ – წყვდიადთა გვემად: უკუდგა ბნელი, მიხილა მზემან“.

არ შემცდარა კ. გამსახურდია, როცა ანა კალანდაძის პოეზიას ხატოვნად „ერის საკურთხეველზე ანთებული სანთელი“, ქართველი ხალხის „ჭრილობის სალბუნი“ და „ნელსაცხებელი“ უწოდა (გამსახურდია 1995: 4), რომელიც ღმერთსმოწყურებულ ადამიანებს მუდამ გაუნათებს გზას წინსვლისა და გამარჯვებისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშელი 1981: აბაშელი ა., გაზეთი „კომუნისტი“, 1981, 25 სექტემბერი.
ასათიანი 1983: ასათიანი გ., თანამდევი სულები. თბილისი, 1983.
აფრიდონიძე 2008: აფრიდონიძე შ., ანა კალანდაძის პოეტური სამყარო. ლექსთმცოდნეობა. ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი ლექსთმცოდნეობის მეორე სამეცნიერო სესია (მასალები). თბილისი, 2008.
ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება. თბილისი, 1990.
ბაქრაძე 2000: ბაქრაძე ა., სამი მწერალი. ჟურნალი „მნათობი“, 2000, №3-4.
გამსახურდია 1959: გამსახურდია კ., რვატომეული, ტ. VIII. თბილისი, 1959.
გრანელი 1998: გრანელი ტერენტი, ცისფერი სიშორე. თბილისი, 1998.

ზოიძე 2001: ზოიძე შ., ანა კალანდაძის შემოქმედება, სადოქტორო დისერტაცია. თბილისი, 2001.
კალანდაძე 1987: კალანდაძე ა., რჩეული. თბილისი, 1987.
კალანდაძე 1995: კალანდაძე ა., ტ. I. თბილისი, 1995.
კალანდაძე 1995: კალანდაძე ა., ტ. II. თბილისი, 1995.
კილასონია 1974: კილასონია ნ., სიტყვა ანა კალანდაძეზე. ჟურნალი „ცისკარი“, 1974, №12.
ლიტერატურული გაზეთი 1953: გაზეთი „ლიტერატურული გაზეთი“, 1953, 18 დეკემბერი.
ლოტმანი 2005: ლოტმანი ი., კულტურა და აფეთქება. თბილისი, 2005.
ნიკოლეიშვილი 2017: ნიკოლეიშვილი ა., მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, პორტრეტები. თბილისი, 2017.
მიშველაძე 1994: მიშველაძე რ., ანა კალანდაძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1994.
სორდია 2005: სორდია ლ., ანა კალანდაძის პოეზია (ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები). თბილისი, 2005.
სორდია 2009: სორდია ლ., ანა კალანდაძე. ესთეტიკის საკითხები. თბილისი, 2009.
ტაბიძე 1982: ტაბიძე გ., რჩეული. თბილისი, 1982.
ფსევდო-ლონგინე 1975: ფსევდო-ლონგინე, ამაღლებულისათვის თბილისი, 1975.
ჭუმბურიძე 2014: ჭუმბურიძე ი., ღიმილი დედოფალ ანასი. თბილისი, 2014.